გადაწყვეტილება

N გ-22-7/273
16/06/2022

273-გ-22-1-4-202206161001

**რადიომოყვარულ მიხეილ ჯანვერდაშვილისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა
და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის
სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-22-9/2273, 09.06.2022) მიმართა მოქალაქე მიხეილ ჯანვერდაშვილმა (მცხ. ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის ქ. N 26) 50-52 მგჰც დიაპაზონში (6 მეტრიანი ტალღები), სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის, დროებით სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ მიხეილ ჯანვერდაშვილი არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული და კომისიის 2021 წლის 24 ივნისის № გ-22-7/374 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სახმობი 4L4CR. ზაფხულის პერიოდში, რადიოტალღების გავრცელების თავისებურებებიდან გამომდინარე, რადიომოყვარულ მიხეილ ჯანვერდაშვილის მიერ, სამოყვარულო რადიოკავშირები განხორციელებული იქნება 50-52 მჰც სიხშირეებზე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და 51^8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ მიხეილ ჯანვერდაშვილს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, ასევე 50-52 მჰც სიხშირეებზე, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად **2022 წლის პირველი ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით:**

რეგისტრაციის №	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
T – 091	მიხეილ ჯანვერდაშვილი	ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის ქ. N 26	4L4CR	„A“

2. რადიომოყვარული მიხეილ ჯანვერდაშვილი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო

სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მიხეილ ჯანვერდაშვილისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მიხეილ ჯანვერდაშვილისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი